

იაპონიის მთავრობის მიერ 2013 ფისკალური წლისათვის დაფინანსებულ 9 პროექტზე ხელმოწერის ცერემონია „საგრანტო დახმარება გრასრუტების ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში

“ქვემო ქართლის რეგიონში ქალაქ რუსთავის საქართველოს წითელი ჯვრის პირველადი ჯანდაცვის კლინიკის გაუმჯობესების პროექტი”

**2013 წლის 5 დეკემბერს** საგრანტო კონტრაქტს ხელი მოაწერეს მისმა აღმატებულებამ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, ბატონმა ტომიო კაიტანიმ და საქართველოს წითელი ჯვრის პრეზიდენტმა ქალბატონმა ნათია ლოლაძემ.



“გორის რაიონში სოფელ ძევერას მეფრინველეობის ფერმის მშენებლობის პროექტი”

“ჩოხატაურის რაიონში N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტი”

**2014 წლის 5 თებერვალს**, რიგით მეორე საგრანტო კონტრაქტს ხელი მოაწერეს იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ტომიო კაიტანიმ, „ჰეიფერ ინტერნაშინალ ჯორჯიას“ და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის წარმომადგენლებმა .



**“ახმეტის რაიონში მდინარე ალაზანზე გაბიონების მოწყობის პროექტი”  
 “თელავის რაიონში თელავის ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრში  
 სამედიცინო აღჭურვილობის გაუმჯობესების პროექტი”  
 “თელავის რაიონში უნარშეზღუდული პირებისათვის სოციალური  
 მზრუნველობის ცენტრის რეაბილიტაციის პროექტი”**

**2014 წლის 26 მარტს** იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ტომიო კაიტანიმ ხელი მოაწერა საგრანტო კონტრაქტს კახეთის (ზემოხსენებულ პირველ პროექტზე), საზოგადოება და გარემო (ზემოხსენებულ მეორე პროექტზე), და ფონდი ახალი სიცოცხლე (ზემოხსენებულ მესამე პროექტზე) წარმომადგენლებთან ერთად.



**“ქალაქ ფოთის N6 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტი”  
 “ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩას საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის  
 პროექტი”**

**2014 წლის 2 აპრილს**, იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ტომიო კაიტანიმ და ასოციაცია „გაენათის“ წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ზემოხსენებულ პირველ კონტრაქტზე, ხოლო ასოციაცია „მედია და საზოგადოების“ წარმომადგენლებმა კი ხელი მოაწერეს მეორე პროექტზე.






# “საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთას საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტი“

(იაპონიისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობების ერთობლივი პროექტი)

**2014 წლის 10 აპრილს**, საგრანტო კონტრაქტს ხელი მოაწერეს იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ტომიო კაიტანიმ და არასამეწარმეო იურიდიული პირი „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღების“ წარმომადგენლებმა. ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში აფინანსებს ამავდროულ პროექტს და ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ტომამ პერნიცკი დაესწრო ცერემონიას.



## პროექტების ადგილმდებარეობა

